

დამსხვრეული ბავშვი სცენაზე



B2

ქარავაჭოდან კაილი მინოუბის რატოვლით



B3

სოლო ფრენა მსოფლიოს ბარჯემო



B8

ნოზარის სტუმარი

რუსთავი "მკვდარი ქალაქი" აღარ უნდა იყოს

მაია ჭალაბანიძე

ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და მათაც ზუსტად ის პრობლემები აწუხებთ, რაც საქართველოს ნებისმიერ სხვა რეგიონში - უმუშევრობა, სიღატაკი, სიღარიბე, მაგრამ ქვემო ქართლს მაინც სპეციფიკურ რეგიონს უწოდებენ. "სპეციფიკურია" შევარდნაძის დროს ნამდვილად იმას გულისხმობდა, რომ რეგიონი ყოველთვის ხელისუფლების ლამის ერთადერთი რესურსი იყო არჩევნებში. თუკი მამალაძის ეპოქის მსგავსად ეს მთივარეთი დაიშვრება, ეს პირდაპირ კავშირში იქნება ხელისუფლებისა და ამ რეგიონის მართლაც განსაკუთრებულად არადემოკრატიულ საარჩევნო ურთიერთობებთან. უკანასკნელი წლის მანძილზე, ამ რეგიონში პრეზიდენტმა ზურაბ მელიქიშვილი მთელი მთელი დანიშნა რწმუნებულად. პირველად მან ეს საკმი პირდაპირ მამალაძის შემდეგ დაიკავა. მოგვიანებით ის სახელმწიფო მინისტრად (რეგიონულ საკითხებში) გადაიყვანეს. სამი კვირის წინ მამალაძის შვილიშვილი და მელიქიშვილი ისევ რწმუნებულის პოსტზე დააბრუნეს. ამ ცვლილების შესახებ ხელისუფლება მკაფიო განმარტებებს არ იძლევა. ამის გაგებას და იმასაც, პირველად მოხვალა უფრო რთული იყო თუ მეორედ - თავად გუბერნატორისგან შევეცადეთ.



სახელსა და გვარს არ ვებრძვი. ნებისმიერ ადამიანთან ერთად ვაპირებ ბრძოლას.

- რატომ დავაბრუნეთ პრეზიდენტმა? - რეგიონის პრობლემების მოსაგვარებლად. აქ უამრავი პრობლემაა, მაგრამ არა მოუგვარებელი - შეიძლება, დროში გაიწვიოს, მაგრამ მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს. ერთ მაგალითს გეტყვი - ჯანდარბასა და ლეუმენიერას ირგვლივ არსებული მიწები სულ რამდენიმე ადამიანის ხელში იყო და არც ბიუჯეტში იხდიდნენ თანხებს. გამგებობის გადმაცვების შემდეგ, რადგან დიდი კანონდარღვევები იყო. რამდენიმე მათგანზე საქმეც აღძრა და შეიძლება, დაჭერილიც არის. - პრეზიდენტმა თქვენი წინამორბედიც იგივე დავალებებით დანიშნა, რატომ შეცვალეს? - ის რწმუნებული და გამგებელია წარმატებული, რომელსაც ადგილობრივი ინიციატივები აქვს. არ შეიძლება მისი ინიციატივები და მხოლოდ პრეზიდენტის მითითებებზე იყო დამოკიდებული. კარგია, როცა პრეზიდენტის დავალებას შესასრულებ, მაგრამ ადგილობრივი ინიციატივა სულ სხვა რამ არის. - მეორედ მოხვალა უფრო ადვილია? - რეგიონში პირველად უფრო მძიმე ვითარება დაჩვენდა. - ქვემო ქართლს სპეციფიკურ რეგიონს რატომ უწოდებენ? - აქ სხვადასხვა ეროვნების ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობენ და თითოეულ რაიონთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. წლების განმავლობაში ეს რაიონები კონკრეტული მიმართულებით ვითარდებოდა - ერთი რაიონი მეტოპტენობას მისდევდა, მეორე - მეცხოველეობას და ა.შ. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ამ რაიონ-

ებს ეს ფუნქციები სრულიად მოეშალათ. საზღვრისპირა რაიონები ტვირთების გადატანა-გადმოტანით არიან დაკავებული, ზოგიც მინაზე მუშაობს. გარდაბნისა და მარნეულის ძირითადად, მეტოპტენობა უნდა განვითარებულიყოს. რაც შეეხება დანაშაულის რაიონს - იქ ისეთი კლიმატია, რომელიც მოსფლიოში თითზე ჩამოსათვლიელია. მაგალითად, დანაშაულის შეიძლება პოლიციის უფროსი ნარბეხა და ჩემი მხრიდან დანაშაული იქნება, ანა ხელი არ შეეშალა. - და არა სულუგუნის სამშობლოში? - აქ მნიშვნელობა აქვს, რომელ ზონაშია გაზრდილი საქონელი. ამ მხრივ, უკვე კონკრეტულად არის საუბარი 2 მიწისსაზარმოზე. მარნეულსა და თეთრწყაროს რაიონში გადამამუშავებელი მინიქარხნების მშენებლობით ქართველი ბიზნემენებიც არიან დაინტერესებული. ჩემი ძირითადი მიზანი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, კომინალური ვითარების გაუმჯობესება და ბიზნესგარემოს შექმნაა. არ შეიძლება ადამიანი დამოკიდებული იყოს მხოლოდ რამდენიმე დიდი საწარმოს მუშაობაზე. - ქალაქი რუსთავი სწორედ ამ ქარხნების გამო აშენდა... - დიხს, აშენდა და ყველაფერი უნდა გაეაყეთოთ, რომ მეტალურგიამ დიდი დეტერთით იმუშაოს. მაგრამ, არ შეიძლება მანამდე გულზედაკრეფილები ვიყოთ. რუსთავში უამრავი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთია გაცემული, სადაც უნდა ამენებულყოფი კაფე, სპორტული დარბაზი, სხვა ობიექტები, სადაც ადამიანები უნდა დასაქმებულიყვნენ. დღეს ამ სამუშაოების 70 პროცენტი შესრულებული არ არის და ობიექტების ნასახიც არ არსებობს. ქარხანაზე, რომელშიც 13 000 ადამიანი მუშაობდა, კიდევ მიბმული იყო მცირე საწარმოები და ინფრასტრუქტურა. ამ

ყველაფრის გაჩერების შედეგად ადამიანები დღეს დაუსაქმებელი არიან. - ეს რეგიონი სპეციფიკური მოსახლეობის პოზიციით და განწყობით არის? - აქ არ არის საუბარი მოქალაქეების განწყობაზე. თუ სადმე შევარდნაძის ხელისუფლება ძლიერი იყო, ეს ქვემო ქართლში ხდებოდა. მამალაძე 8-9 წლის განმავლობაში იყო პირველი პირი, ჰქონდა მართვის საკუთარი სისტემა, გეგმა, რომელიც დღეს მთლიანად მოგვალა. - უკანასკნელ არჩევნებში აქედან ახალმა ხელისუფლებამაც კარგად მიიღო ხმები... - დიხს, მიიღო და ეს არ იყო დამოკიდებული აქამდე არსებულ სისტემაზე. - რა შეცვალეთ ადმინისტრაციამ? - აპარატის თანამშრომელი იქნებოდა თუ სხვა ადამიანი, მისი არსებობა დამოკიდებული იყო ურთიერთობებზე რეგიონის პირველ პირთან - სხვა რამ განმსაზღვრელი არ ყოფილა. აპარატშიც და გამგებებშიც უამრავი ისეთი ადამიანი მუშაობდა, რომელსაც არასდროს შეურცხვებია საკუთარი თავი და უკანონო არაფერი ჩაუდგინა. მხოლოდ ადამიანთა ვარკვეული ჯგუფი აკეთებდა ამას ხალისით. - ამ ჯერზე რისი შეცვლით დაიწყეთ? - პრიორიტეტები განსაზღვრე - ინფრასტრუქტურის მოწყობა და ბიზნესისთვის მისაღები გარემოს შექმნა. ბიზნესის განვითარება ერთი მარტივი მიზეზის - ხალხის დასაქმებისთვის არის საჭირო. მთავარია, თითოეულმა რაიონმა თავისი ფუნქცია შეიძინოს. - კონკრეტულად? - დანაშაულის უნდა დავაბრუნოთ მეცხოველეობა... - დანაშაულის არქეოლოგიური აღმოჩენების გამო ისედაც არის მსოფლიო რუკაზე... - დიხს და ამის გამო აქ ტურიზმიც

უნდა განვითარდეს. იქ დღემდე არ არსებობს მუზეუმი, სასტუმრო და ტურიზმისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. მარნეულის რაიონში არის მიწები, სადაც სეზონზე ორჯერ იღებენ მოსავალს. მაგრამ, თუ არ იქნება ჩამბარებელი პუნქტები, გადამამუშავებელი ქარხანა და სხვა - ეს რაიონი არ განვითარდება. ეს მომგებიანი ბიზნესია და ბიუჯეტშიც ივსება. კანონით იქნება დევნილი ადამიანი, რომელიც აქ ბიზნესმენს რაიმე სახით მოსთხოვს წილს. ანალიზები უნდა გაკეთდეს გარდაბნის რაიონზეც. რუსთავში უნდა ამუშავდეს სანარმობები და არ იგულისხმება მხოლოდ ორი-სამი დიდი საწარმო. 40 000 ოჯახზე სამი სასწრაფო მანქანა მუშაობს. თბილისის მთავრობისა და ჯანდაცვის მინისტრის დახმარებით აქ სამი მანქანა დაგეგმილი და უფასო მოსახერხებელი გადამამუშავებელი უნდა იქნება. განსაზღვრული ტროლეიბუსის პარკი (უკვე 4 ჩამოვიყვანეთ), რადგან ეს რუსთაველთათვის იაფი ტრანსპორტია. სერიოზულად ვფიქრობთ მუნიციპალური ტრანსპორტის ამუშავებაზეც. მერიას დავალებული აქვს და რუსთავის საზოგადოებასთან, საკრებულოსთან ერთად ქალაქის გეგმის პრეზენტაციას გაეკეთებთ. არ შეიძლება რუსთავში, რუსთაველის ძეგლის უკან, მანქანების საჩრებელი პუნქტი იყოს. რუსთავში ნომერ პირველი წყლის პრობლემაა. მთელი სისტემის შეცვლისთვის რამდენიმე მილიონია საჭირო და ეს ეტაპობრივად მოხდება. ქალაქში დანერგვა შიდა საუბრო გზებიც და ეზოების მოწესრიგება და ერთდროულად შეიცვლება მიწებიც, რომელიც ამორტიზების გამო მაღალ წნევაზე ვერ უძლებს. - რა დონით ერევა რეგიონის ადმინისტრაცია აქ არსებული დიდი საწარმოების პრივიტიზების საკითხებში, რომელიც ხშირად სადავოა?

- რწმუნებულის საქმე ნამდვილად არ არის ამა თუ იმ საწარმოსთვის ინვესტირების მოძებნა. ამისთვის არსებობს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, რომელსაც სახელმწიფო დანიშნულების საწარმოების განვითარების შესაბამისი პირობები უნდა განსაზღვროს. აქ წლების განმავლობაში განუქონთარბა იყო. საწარმოს გაუწვდა საექვიწი წარმოების შევსებები. ეს არ არის მილიონიანი დავალიანება. მათ ჯარათის სახით 300-500 000-ის წყვეტული შეიტანეს და ამის სანაცვლოდ გადაეცათ ხან სტადიონი, ხან სასტუმროს შენობა. ეს მასალები ძიებას გადაეცემა და ასეთი ფაქტი უარგებია. - მერიაში რა რეგიონი ურთიერთობები ჩამოიყვალბოდა? - საქმიანი. გვაქვს ბევრი კარგი იდეა. შე სახელსა და გვარს არ ვებრძვი. ნებისმიერ ადამიანთან ერთად ვაპირებ ბრძოლას. მერის თანამშრომლებს ვუთხარი - ვისაც ჩემთან ერთად ბრძოლის მორალური უფლება გაქვთ, გამომყვეით-მეთქი. - რამდენი დავამშვიდობათ? - ჯერჯერობით არავინ. - განსაკუთრებით ამ რეგიონშია მნიშვნელოვანი სამოქალაქო სექტორის, ადგილობრივი არასამთავრობოების არსებობა... - ამ წნის განმავლობაში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას შეეხვედი და სერიოზული ანტიკორუფციული მასალები მომართდეს, რომელზეც ერთად გავაგრძელებთ მუშაობას. არ ვარ დამოკიდებული არც გამგებელზე და არც სოფლის საკრებულოზე, მათთან არანაირი ვალდებულება არ მაქვს და ადამიანის მოხსნა ჩემს შინაგან სირთულეებთან დაკავშირებული არ არის. ვაპირებ შევექმნა საზოგადოებრივი საბჭო, სადაც შევლენ არა მხოლოდ არასამთავრობოების წარმომადგენლები, არამედ ცნობილი რუსთაველები, ადამიანები, ვისაც უყვარს ეს ქალაქი. ამ ქალაქს იმდენ



ჩემი ძირითადი მიზანი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, კომინალური ვითარების გამოსწორება და ბიზნესგარემოს შექმნაა. არ შეიძლება ადამიანი დამოკიდებული იყოს მხოლოდ რამდენიმე დიდი საწარმოს მუშაობაზე.



ამ რეგიონში ნებისმიერ კომინალურ ფაქტზე იმ დღესვე თუ არ მოხდა რეაგირება, ეს შეიძლება, ვინმემ გამოიყენოს და ეთნიკონფლიქტი დაარქვას.



შეიძლება ადამიანი გაეკეთება შეიძლება და კიდევ შეიძლება. პირველივე დღეების განმავლობაში შეცვლით რამდენიმე ისეთი პრობლემის მოგვარება, რომელსაც თვეები ნამდვილად არ სჭირდებოდა. აუ, აქ კედელზე საკრებულოების მიხედვით მაქვს გაკრული პრობლემები და უკვე შესრულებული სამუშაო ნითელი ჯვრებით არის აღნიშნული... - ნითელი ფერი ამკარად არ ქარბობს. - იმიტომ, რომ ცოტა დროა გასული.